

შპს დიო
ფინანსური ანგარიშგება
2018 წელი

შპს დიო

2018 წლის 31 დეკემბრისათვის საქმიანობის შედეგები

	2018 წლის საანგარიშო პერიოდი ლარი	2017 საანგარიშო პერიოდი ლარი
ნეტო ამონაგები	11 810 986	10 205 825
- საქონლის გაყიდვებიდან	11 491 719	9 816 464
- მომსახურების გაწევიდან	319 267	389 361
- სამშენებლო ხელშეკრულებიდან		
- სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7 202 047	5 447 779
- საწყისი მარგები	2 550 407	2 142 967
- მარაგების შესყიდვა	6 565 799	4 957 141
- გადამუშავების დანახარჯები	1 471 051	898 077
- საბოლოო მარაგები	3 385 210	2 550 406
საერთო მოგება	4 608 939	4 758 046
- სხვა შემოსავლები	24 794	77 817
- დასაქმებულთა ანაზღურება	-1 893 187	-1 555 665
- ცვეთა ამორტიზაცია	-194 561	-178 444
- საპროცენტო შემოსავლები	28 126	17 705
- საპროცენტო ხარჯი	-15 426	
- იჯარის ხარჯი		
- ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1 110 141	-910 043
სულ საოპერაციო ხარჯები	-3 160 396	-2 548 416
საოპერაციო მოგება	1 448 554	2 209 416
გაუფასურების (ხარჯი) რევენსირება		
- წმინდა შემოსულობა (დანაკარგები) სავალუტო ოპერაციებიდან	39 817	7 882
- მიღებული დივიდენდები		
- სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	2 440	56 709
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	1 490 801	2 274 007
- მოგების გადასახადი		19 910
მოგება (ზარალი)	1 490 801	2 254 097
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	1 490 801	2 254 097

შპს დიო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	984 046	1 200 089
სავაჭრო მოთხოვნები	611 589	513 236
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	217 167	211 136
მარაგები	3 385 210	2 550 407
- მზა პროდუქცია	126 394	94 668
- სხვა	3 258 816	2 455 739
საინვესტიციო ქონება	1 198 516	864 984
სხვა მიმდინარე აქტივები	460 842	121 247
სხვა არამატერიალური აქტივები	55 982	48 779
ძირითდი საშუალებები	2 305 797	2 251 053
ინვესტიციები და სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	777 000	777 000
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	9 996 149	8 537 930
ვალდებულებები		
- სავაჭრო ვალდებულებები	463 255	423 207
- ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	49 519	
- საგადასახადო ვალდებულებები	-62 987	19 403
- გამოუმუშვებელი შემოსავალი		
- მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
- გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	200 000	
- მიღებული გრანტები		
- სხვა ვალდებულებები	917 508	301 819
სულ ვალდებულებები	1 567 295	744 429
საკუთრი კაპიტალი		
- საწესდებო კაპიტალი	401 270	401 270
- საემისიო შემსავლები		
- გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8 027 584	7 392 231
- გადაფასების რეზერვი		
- სხვა რეზერვი		
სულ საკუთრი კაპიტალი	8 428 854	7 793 501
სულ საკუთრი კაპიტალი და ვალდებულებები	9 996 149	8 537 930

შპს დიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიო შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლის 13 მარტიდან. საზოგადოების მისამართი, და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ.თბილისი, ცინცაძის 79. მისი ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალით, აღნიშნული მასალის წარმოება და მის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

დაუშვილი ირმა - ფლობს საზოგადოების 51%

დაუშვილი თამაზი - ფლობს საზოგადოების 38%

დაუშვილი თამარი - ფლობს საზოგადოების 18%

კომპანიას გააჩნია საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობა (ბათუმი, ქუთაისი, თელავი) ფლობს შენობა ნაგებობებს (ქუთაისი და ბათუმი), რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების საქმიანობის განსახორციელებლად რეგიონებში.

2017 წელს საზოგადოების თანამშრომლთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 136 და 2018 წელს 157.

საზოგადოების საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილის მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი აღმაშენებლის ფარსადანის ქუჩა 3.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მომზადებული გამოსაქვეყნებლად პირველად.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ასევე ფაქტები და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ თავისი საკუთარი ცოდნა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საზოგადოებას არ ევალებოდა, შესაბამისად გამოსაქვეყნებლად სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება საზოგადოებას არ მოუმზადებია. ამგავრად, იმის შეჯერება, ადრინდელი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებიდან ბას

სტანდარტებზე გადასვლამ როგორი გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე (თუმცა ფულადი ნაკადების ანგარიშგება არ მომზადებულა გამოსაქვეყნებლად), წარმოდგენილი არ არის ამ მომზადებულ ფინანსურ ინფორმაციაში. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლას საზოგადოება აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომლებიც გარკვეულწილად ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას ემყარება.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირველადი ღირებულების საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა. ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსურ ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიღებული აქვს საქონლი ან მომსახურება (როდესაც შესაძლებელია მათი გაზომვა და შესაბამისად შეფასება). ამონაგების შეფასება ხდება ლარში, ამონაგების ანაზღაურების შემცირება ხდება რეალური ღირებულებით, რომელიც მოიცავს ფასდათმობებს და საქართველოში გადასახადებულ გადასახადებს.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის (მომსახურების) მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ჩამოთვლილი პირობა:

- საზოგადოებამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- საზოგადოება არ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან ასოცირებული მენეჯერული ჩართულობის დონეს და არც ეფექტურ კონტროლს;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის (მომსახურების) გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი საზოგადოებაში შემოვა;
- შესაძლებელია საქონლის (მომსახურების) გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

2018 წლის დეკემბერში, კომპანია აწარმოე საქართველოში პროგრამის ფარგლებში თიბისი ბანკთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სესხის მიზნობრიობად განისაზღვრა წარმოების გაფართოება, რაც გულისხმობდა ახალი საწარმოო შენობის აშენებას, ახალი მანქანა-დანადგარების და საწარმოო ინვენტარის შეძენას. სესხის დაფარვის ვადად განისაზღვრა მაქსიმუმ 84 თვე, მათ შორის 18 თვეს წარმოადგენს საშელავათო პერიოდს, რა პერიოდშიც კომპანია იხდის მხოლოდ პროცენტს, ხოლო საშელავათო პერიოდის გასვლის შემდეგ კომპანია გადავა სესხის ძირის და

პროცენტის ერთოდროულ გადახდის სქემაზე. ამავდროულად "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში, კომპანია პირველი 24 თვის განმავლობაში სარგებლობს სესხის პროცენტის სუბსიდირების მომსახურებით, რაც შეადგენს საბანკო პროცენტიდან ნაწილს. აღნიშნული სუბსიდირებული თანხის ჩარიცხვა ხდება კომპანიის ანგარიშზე ყოველთვიურად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი (კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რაც აღიარებოდა წლის მოგება ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებოდა სხვა სრული შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან დაკავშირებული იყო იმ ოპერაციებთან, რომლებიც ასევე სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ აღიარდა იმავე, ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახდი თანხა, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადაიხდებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მიიღებოდა მიმდინარე და გასული პერიოდისათვის დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულებებში საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივებში საგადასახადო გადასახადსა და ფინანსურ ანგარიშგების მიზნისათვის მოგების გადასახადის ღირებულებებს შორის დადებითი განსხვავებისას.

საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად კომპანიები (გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაში შეწყდა გადავადებული მოგების გადასახადი აღრიცხვა, არსებული ვალდებულება აღიარდა კაპიტალში, ხოლო მომავალში მოგების გადასახადი რომლის ვალდებულება წარმოიშვება დივიდენდის განაწილებისას, აღიარდება იმ პერიოდის მოგება /ზარალში როდესაც მოხდა დივიდენდის გადახდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულების თანხით. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირება, რადგან საზოგადოების მმართველობას მიაჩნია რომ დაგროვებითი ცვეთით შემცირება რეალურად ასახავს საინვესტიციო ქონების ღირებულებას და მათი გადაფასება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და მისი გაწევა არამიზანშეწონილად იქნა მიჩნეული.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების შემცირებული აქტივის თვითღირებულები განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასრგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შედეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი

მომავალში თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების ძირითადი ნაწილი გაცემული ჩვეულებრივი იჯარის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულების თანხით. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირება, რადგან საზოგადოების მმართველობა მიაჩნია რომ დაგროვებითი ცვეთით შემცირება რეალურად ასახავს ძირითადი საშუალებების ნარჩენ ღირებულებას და მათი გადაფასება მიზანშეწონილი არ არის.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების შემცირებული აქტივის თვითღირებულები განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასრგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შედეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 პროცენტი

სადემოსტაციო ექსპონატები - 40 პროცენტი

მომავალში თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილი კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფა, რომლებიც ასახულია დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით პროგრამულ უზრუნველყოფაზე წლური 15 პროცენტის ვადით. თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების, არამატერიალური აქტივების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ, შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდება აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურებული ზარალის აღდგენის თანხა დაუყონებლივ აღიარდება მოგება, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდითა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდე გადაანგარიშდება ახლადმიღებული პარტიისათვის.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის, ძირითადი საშუალებების შენარჩუნებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულობებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულიში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია გაუნაწილებელი მოგების სახით და საწესდებო კაპიტალის სახით, რომლიც შედგება დამფუძნებლების შენატანებით, რომელიც შექმნილი არის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით კრედიტორებისათვის მეტი ნდობისათვის, ასევე გარკვეული სარეზერვო თანხის აკუმულირებისათვის.

3. ამონაგები

	2018 წელი	2017 წელი
საქონლის გაყიდვიდან	11 491 719	9 816 464
მომსახურების გაწევიდან	319 267	389 361
სულ	11 810 987	10 205 825

4. სხვა შემოსავალი:

	2018 წელი	2017 წელი
იჯარიდან შემოსავლები	11 718	11 418
ძირითადი საშუალებებში რეალიზაცია	5 934	20 725
საქონლის რეალიზაცია	7 142	5 187
სხვა არაფულადი შემოსავლები	2 440	40 488
საპროცენტო შემოსავლები	28 126	17 705
სულ	58 359	95 522

5. ფინანსური დანახარჯები

	2018 წელი	2017 წელი
ბანკის პროცენტი		15 426
სულ		15 426

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წელი	2017 წელი
სავაჭრო დებიტორები	611 589	513 236
გადახდილი ავანსები	217 167	211 136
სულ	828 756	724 372

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2018 წელი	2017 წელი
საქონელი	450058	112667
საწვავ-საცხები მასალები	10 783	8 580

სხვა მარაგები	3 258 816	2 455 739
გასაყიდად გამიზნულ მარაგები	126 394	94 668

9. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა ნაგებობები
თვითღირებულება	
1 იანვარი 2018 წელი	1 002 874
შემოსვლა	361 298
გასვლა	
31 დეკემბერი 2018 წელი	1 364 172
დაგროვებითი ცვეთა	
1 იანვარი 2018 წელი	137 891
წლიური ცვეთა	27 765
31 დეკემბერი 2018 წელი	165 656
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018 წელი	1 198 148

ამონაგები იჯარიდან შეადგენს 2017 წელს 11 418 ხოლო 2018 წელს 11 718, ცვეთა შედგენს 13 861 ლარს (იმ შენობის რომელიც იძლევა შემოსავლს იჯარიდან), გამომდინარე აღნიშნულიდან საზოგადოება გეგმავს ამ ქონების პროფილის შეცვლას. სხვა საინვესტიციო ქონება გამიზნული არის ახალი საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად, რისთვისაც არის მიღებული სესხი სს თიბისი ბანკისგან.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი 2018 წელი	1 524 684	1 719 856	3 244 540
შემოსვლა	34 441	336 042	370 483
გასვლა		44 305	44 305
31 დეკემბერი 2018 წელი	1 559 126	2 011 593	3 570 719
დაგროვებითი ცვეთა			
1 იანვარი 2018 წელი	302 395	691 092	993 487
წლიური ცვეთა	75 978	215 158	291 136
31 დეკემბერი 2018 წელი	378 373	886 549	1 264 921
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018 წელი	1 180 753	1 125 044	2 305 797

11. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუველყოფა
თვითღირებულება	

1 იანვარი 2018 წელი	74 326
შემოსვლა	14 937
გასვლა	
31 დეკემბერი 2018 წელი	89 264
დაგროვითი ცვეთა	
1 იანვარი 2018 წელი	25 547
წლიური ცვეთა (ჩართულია ადმინისტრაციის ხარჯებში)	7 735
3 დეკემბერი 2018 წელი	33 282
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018 წელი	55 982

13. ბანკის სესხი

	2018 წელი	2017 წელი
ბანკის სესხი - დაფარვის ვადა 2019 წლის მაისი	200 000	
	200 000	

ბანკის სესხი აღებული არის სს თიბისი ბანკიდან, ის უზრუნველყოფილია საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონებით, კერძოდ მიწის ნაკვეთი და მასზედ განთვსებული შენობა-ნაგებობები, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 684 902 ლარს, აღებული სესხის პროცენტი შეადგენს ეფექტურ 11%-ს, 84 თვის ვადით და მისი აღების მიზნობრივაობაა წარმოების სიმძლავრეების გაზრდა.

14. სავაჭრო ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 463 255 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ის შეადგენდა 423 207 ლარს, ზრდა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 40 048 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში შეადგენდა 227 193 ლარს.

15. საწესდებო კაპიტალი

საზოგადოებისას 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 401 270 ლარს, რომლიც შექმნილი არის საზოგადოების დამფუძნებელთა შენატანებით 2007 და 2008 წლებში, მისი შემცირება უახლოესი ერთი წლის განმავლობაში არ იგეგმება.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება საზოგადოებაში შეადგენდა 7 392 231 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 8 027 584 ლარი.

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტები

	2018 წელი	2017 წელი
ნაღდი ფული სალაროში	257 396	407 371
ფულადი საახსები ბანკში	942 693	576 675
სულ ფულადი სახსრები	1 200 089	984 046

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია საზოგადოების დამფუძნებელთა 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით.

შპს დიო

გენ. დირექტორი



ი. დაუშვილი